ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **128-1282231285**
თარიღი: **08/11/2022**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

ბატონო ფრიდონ,

თქვენი, 2022 წლის 10 ოქტომბრის N 09-02-16/637 წერილის თანახმად, რომელიც ეხება საკომიტეტო განხილვას საკითხზე: **,,დაცული ტერიტორიების (ქობულეთი, კინტრიში, მტირალა, მაჭახელა) მიმდებარე დასახლებებში ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა-განხილვას და მათი შემდგომი მოგვარების მიზნით, ადგილობრივ ორგანოებთან თანამშრომლობა“-ს** და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადმოგზავნილია კითხვარი, გეგზავნებათ პასუხები პუნქტობრივად:

1. მოქმედებს თუ არა მუნიციპალური პროგრამები ალტერნატიული გათბობის საშუალებების შესახებ და არის თუ არა მომართვიანობა მოსახლეობიდან ამ საკითხზე:

აღნიშნულზე განგიმარტავთ, რომ 2018 წლიდან მოქმედებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მიზნობრივი პროგრამა **,,შეშის ჩანაცვლება ალტერნატიული წყაროთი - ბრიკეტით",** რომლის ფარგლებშიც კმაყოფილდება სოციალურად დაუცველი ოჯახები.

ამასთან მიმდინარე პერიოდისთვის **მოქალაქეთა მზარდი მომართვიანობის მიზნით,** სითბოთი უზრუნველყოფის დახმარებაში ხელშეწყობისთვის საკრებულოს სხდომისთვის მომზადებულია საკითხი, მიზნობრივი პროგრამა: **,,2022 წლის პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველ იმ ბენეფიციართა სითბოთი უზრუნველყოფისთვის ერთჯერადი ფინანსური ხელშეწყობა, რომლებსაც არ გააჩნიათ სათბობი საშუალება ან/და ვერ იყენებენ სათბობათ ბუნებრივ აირს/გაზს და სხვა“-ს,** რომლის მიზანია სოციალური სარგებელის გარდა, გარემოსდაცვითი სარგებელი, კერძოდ, ხე-ტყის უკანონო მოპოვების ფაქტის აღკვეთა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა 500(ხუთას) სოციალურად დაუცველ ოჯახს.

2. არის თუ არა მომართვიანობა მოსახლეობიდან მტაცებელი ცხოველების მიერ, შინაური ცხოველებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზიანების თაობაზე და ამ კუთხით არსებული მდგომარეობის და საჭიროებების შესახებ:

მიმდინარე პერიოდისთვის მოსახლეობიდან მომართვიანობა მტაცებელი ცხოველების მიერ, შინაური ცხოველებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზიანების თაობაზე არ ფიქსირდება, თუმცა გასულ წლებში მსგავსი მომართვიანობის საფუძველზე მუნიციპალიტეტში შემუშავებული იქნა მიზნობრივი პროგრამა: **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ეფექტური დაცვა**

გარეული ცხოველებისგან-,,ელექტრო ღობე“, რომლის ფარგლებშიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დაცვა გარეული ცხოველებისგან მოეწყო ელექტრო ღობეები ტყის განაპირა ზოლში.

3. არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, თქვენი მუნიციპალიტეტის საზღვრებში ტყით სარგებლობის პრობლემებთან დაკავშირებით;
დღეის მდგომარეობით ტყით სარგებლობის პრობლემებთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ საშეშე მერქნული რესურსის მოპოვების კუთხით მუნიციპალიტეტში პრობლემები არ დგას, ხოლო რაც შეეხება პირველი ხარისხის სამასალე ხე-ტყეს ძირითადი მომართვიანობა მოსახლეობის მხრიდან არის წიწვოვანი ჯიშის სამასალე ხე-ტყეზე, რისი რესურსიც ხელვაჩაურის სატყეოს ადმინისტრაციულ საზღვრებში არ მოიპოვება, ვინაიდან ტყის ძირითადი ნაწილი დაფარულია ფოთლოვანი ხე-ტყით, რის გამოც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე შუამდგომლობით მიმართავს აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებს - მოქალაქეებზე წიწვოვანი ჯიშის სამასალე ხე-ტყის გამოყოფის მიზნით.

4. მუნიციპალიტეტში არსებული გარემოს დაცვითი ღონისძიებებისა და საჭიროებების შესახებ (დასახლებულ პუნქტებში სტიქიურად წარმოშობილი ნაგავსაყრელების შესახებ):
აღნიშნულზე გაცნობებთ, რომ მტირალას ეროვნული პარკის და მაჭახლის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე სტიქიურად წარმოშობილი ნაგავსაყრელები არ არის.

5. სოფლის მდგრადი განვითარების მიმართულებით, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მუნიციპალური პროგრამებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ღონისძიებების (აქტივობების) და პროგრამებში მოსახლეობის ჩართულობის აქტივობის ხარისხის შესახებ:
როგორც აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე მუნიციპალური პროგრამების **კრიტერიუმების გათვალისწინებით** ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა პროგრამებსა თუ ქვეპროგრამებში.

პატივისცემით,

ზაზა დიასამიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი